

2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შეფასებების მიხედვით გამოვლინდნენ ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიანტები

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამის „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“ ფარგლებში განაცხადების მიღება მიმდინარეობდა მ/წლის 26 თებერვლიდან 30 მარტის ჩათვლით. აღნიშნულ პერიოდში, შემოვიდა 89 სტუდენტის განაცხადი, რომელთაგან 5 არ აკმაყოფილებდა ქვეპროგრამით დადგენილ მოთხოვნებს.

84 კონკურსანტიდან, ქვეპროგრამის ბენეფიციარებად გამოვლინდა 50 სტუდენტი, რომელთა საშუალო არითმეტიკული ქულა, 2017-2018 სასწავლო წლის პირველი სემესტრის შედეგების მიხედვით, 97,33 ქულას და მეტს შეადგენს.

დაფინანსებულ სტუდენტთა შორის 6 სტუდენტი სწავლობს პრიორიტეტულ მიმართულებებზე (მშენებლობის მიმართულებით - 1, არქიტექტურის მიმართულებით - 3, კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით - 1, მასწავლებლის განათლების მიმართულებით - 1), 8 სტუდენტი მაგისტრანტია და 42 - ბაკალავრი.